ბრძანება:**ბ112. 1122311030**
თარიღი:**20/04/2023**

ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონებების

პრივატიზებისთვის უპირობო და პირობიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და

აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი'' 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის, 119-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის შესახებ, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, მეორე თავის მე-13-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,ადიგენის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის შესახებ, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ'' 2023 წლის 11 აპრილის აუდიტის დასკვნა N167, 2023 წლის 5 აპრილის აუდიტის დასკვნა N161, 2022 წლის 21 მარტის აუდიტის დასკვნა N118, 2022 წლის 11 აპრილის N151 აუდიტის დასკვნა, 2023 წლის 23 თებერვლის N82 აუდიტის დასკვნა, 2023 წლის 17 თებერვლის N72 აუდიტის დასკვნა, 2022 წლის 25 ივლისის N365 აუდიტის დასკვნა, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 აპრილის Nგ-113.113231103 და 2023 წლის 20 აპრილის Nგ-113.113231104, განკარგულებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს უპირობო და პირობიანი ელექტრონული აუქციონი, ადიგენის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ და მოძრავ ქონებაზე დანართი N1-ის და დანართი N2-ის შესაბამისად.

2. დანართი N1 და დანართი N2 წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს.

3. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

4. დაევალოს ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს უზრუნველყოს უპირობო ელექტრონული აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ელექტრონული აუქციონის პორტალზე www.eauction.ge.

5. .ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის.ქ.ახალციხე, კ.მებაღიშვილის ქ.62).

6. .ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა ქიმაძე

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი